

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროга“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლის—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შუთრად.

დროება

ყოველ დღე მოწაბათს გარდა

ფასი განსაზღვრეს: დღი ასობით ასობზე—1 კაპ., ასობით ასობზე—8 კაპ., ნვეულწმინდის ცეროთი—1 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბე დათ გამოცხადებით სტატიები. დაბეჭდული სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა
გაზირებულ მოაზრეთელთათვის
14 თებერვალს

აკაკი წერეთელი	— — —	10 მან.
სერგეი მესხი	— — —	10 „
ალ. სარაჯიშვილი	— — —	10 „
მ. წერეთელი	— — —	10 „
სტ. მელიქიშვილი	— — —	10 „
იოს. მელიქიშვილი	— — —	5 „
სულ	—	55 მან.

მეორე	— — — — —	95—75
მესამე	— — — — —	95—
მეოთხე	— — — — —	95—25
აღმოსავლეთის პირ.	— — — — —	93—5
აღმოსავლეთის მეორე	— — — — —	92—75
მ. ქრო, 1/2 იმპერიალი	— — — — —	8—30
თფილ. თავადაზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	— — — — —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	— — — — —	მან. ძაპ.
პირველი სესხის	— — — — —	234—50
მეორე სესხის	— — — — —	235—
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი	— — —	23— „ პენსი
ამსტერდამი	— — —	116—25 ცენტი
ბერლინი	— — —	195—25 ჰენიგი
პარიჟი	— — —	242— „ სანტიმი
ძვეკასიის კერასინი	— — —	„ — „

სანამ ამ ორი კითხვის პასუხს შეუდგებოდნენ, საჭიროა წინ-და-წინ მართლაც გამოცხადოთ ორიოდვე სიტყვით გასახლების სურათი მეტროპოლიდან ამერიკაში.

მეტროპოლი არ არის ისეთი საზოგადოება, რომელმაც ადგილობრივ იზრუნოს უადგილ-მამულო ხალხის დასახლებაზე უდაბურს ადგილებში, იმიტომ რომ თვით დასავლეთის ევროპაში ისეთი უდაბური ალაგები აღარ არის, რომ სადმე შეიძლებოდეს კიდევ გასახლება. დასავლეთის მეტროპოლი გაივსო მცხოვრებლებით, მეტს ვეღარ დასტეეს ის თავის ნიადაგზე ამ ქაშად იმ ცოდნით იმ მიწის შემუშავებით, ისეთ რიგის მიწის დასაკუთრების ძალით და იმ მოხელობით, რაც მეტროპოლის მეცნიერებას დღემდის ხელში აქვს საცხოვრებლათ; ამას სხვათა შორის ისიც გვიმტკიცებს, რომ ამ უკანასკნელის ოც-და-ათის წლის განმავლობაში მარტო დასავლეთის მეტროპოლიდან საშუალო გამოანგარიშებით ყოველ წლებში ასი ათასი მცხოვრები გადის სხვა კუთხის ქვეყნებში გასახლებლათ.

ამ გასახლების მოთხოვნებამ დაჰბადა დიდი შემძლე გადაწყვენი საზოგადოებანი, რომელთაც აქვთ თავიანთი სავაჭრო და გადასაყვანი ხომალდ-გემები. ამ საზოგადოებებში ყველაზე უფრო

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)
პარიჟი, 11 თებერვალს. მფიციალურად გამოცხადებულია, რომ ღენ. შანზი დანიშნა საფრანგეთის ელჩად პეტერბურგში, აღმირალი პოტიუი—ლონდონში და ტეისგრან-და-ბორ მენაში.

ტაშკენტი, 12 თებერვალს. ავღანის მხირი შირ-ალი ანთებით გახდა ძალიან ავით; მორჩენის იმედი არ არის.

კატარბურლის ბირჟა, 12 თებერვალს. (ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)
ბანკის ბილეთები: მან. კაპ.
პირველი გამოცემის — — 96—62

საქართველო

გადასახლება *)

ჩვენ გვინდა ამ სტატიის შედეგში ავხსნა რამდენათაც შეიძლება, ეს ორი უმთავრესი კითხვა: არის თუ არა ჩვენს ხალხში გასახლების მოთხოვნა და რა საშუალებით შეიძლება რომ ადვილათ ასრულდეს ეს დიდი საქმე?

*) „ღროება“, № 27.

მწერლობა

„ივერია“, № 1, იანვარი 1879 *).

პუბლიცისტიური ნაწილი „ივერისა“ უფრო ცხოველი და მდიდარი ვინემც სალიტერატურა; ეს ნაწილი შეიცავს რამდენსამე სტატიას, სადაც გარჩეულნი არიან ზოგიერთი ჩვენი ცხოვრების მოვლენანი და აგრეთვე უცხო ქვეყნების ვითარება.

ამ წერილებში ყველაზე შესანიშნავია უფ. ნ. ღავითიშვილის „შეიქრი და შენი შენა“, რომელიც ჟურნალის წინამძღომელ სტატიათ ჩაითვლება და შეეხება ქართულს მწერლობას, უმთავრეს ძარღვს ახლანდელ ჩვენის ცხოვრებისა.

უფ. ნ. ღავითიშვილის აზრით, ჩვენი მწერლობა აღმადგინებელი და სულის ჩამდგმელი უნდა ყოფილიყო მიძინებულ ქართულის საზოგადოებისა. მაგრამ

*) „ღროება“, № 31.

„ზადავლებს თუ არა მკითხველი თვალს ჩვენს აწინდელ ლიტერატურას ამბობს ავტორი, ცხადათ დაინახავს თუ რამდენათ დაშორებულია იგი ზემოხსენებულ მნიშვნელობაზედ და სამსახურზედ... თვალ-წინ დაუდგება ჟურნალ-გაზეთობა, რომელიც თუ ვნებავთ, რაც გინდა არის—ცხოვრების წინამძღოლი და სულის ჩამბერველი კი არა; იგი არის თითქო სტუმარი, გარედამ მოწვეული და არა შინაური, თვით ოჯახობაში გამოზდილი და გამოკვებული; იგი, თუ ვნებავთ, თვით სამშობლოსი შეილიც არის, მაგრამ აყვანილი და არა ღვიძლი, არა თვით ხალხისა და ქვეყნის ნაშობი“.


მს მწერლობის და საზოგადოების ურთიერთის სიშორე და განცალკევება, ავტორის აზრით, წარმოსდგება სხვის ანაბრობისა და სხვის ჭკუით ფიქრისაგან, ეს „არის უმთავრესი ტკივილი რომელიც მთლად ტანში აქვს ჩვენს ავკარგიანობას; თვით-მყოფობა, თვით-მოღვაწეობა ჭკუ-გონებისა არის თამასუქი ლიტერატურის წარმატებისათვის და განვითარებისათვის; განსაკუთრებული თვი-

თება, თავისებური ფეროვნება არის ის ნიადაგი, ის სფერა სადაც ფრთას ისხამს საგვარტომო, სახალხო ლიტერატურა“.

მართის სიტყვით, ჩვენ მწერლობას მხოლოდ მაშინ ექნება თავისი ძალა და გავლენა, როდესაც ნაციონალურ, ქართულ, მწერლობათ შეიქნება.

ძარგათ გვესმის და ვიცით, რომ ჩვენ საზოგადოების და ლიტერატურის შუა განხეთქილობა არის, რომ ურთიერთის ამათ თითქოს არა გაეგებოდესთ-რა, რომ ლიტერატურას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, როდესაც ის ნაციონალურია, რომ ჩვენს მწერლობას არა აქვს თვით-მყოფობა და თავისებური ფეროვნობა და ამიტომაც „დაშორებული ყოფილა იმ უმადლეს სამსახურზედ და ადგილზედ, რომელიც უნდა ეჭიროს მას“.

მაგრამ როგორ უნდა მოიპოვოს და სად უნდა ეძებოს ჩვენმა მწერლობამ ეს თვით-მყოფობა? სხვაგან თუ ქართულს საზოგადოებაში? არსებობს რაიმე თვით-მყოფობა და თვით-მოღვაწეობა ქართველობაში, თუ არა? რისგან წარმოსდგება ჩვენი მწერლობის უფერობა: იმისგან



შემდეგ და უფრო დიდი ქონების პატრონი არის ატლანტიდის უკიანის გადასაყვანი საზოგადოება, რომელიც ჰამბურლიდან, ლუერლიან, შერბურგიდან და სხვა თითქმის ყოველ დღე გზავნის ეცხლის გემებს ლარბ უმიწა-წყლო მუშა ხალხის გადასაყვანათ ამერიკაში, თუ ატრალიაში, თუ შორი ზღვის კუნძულებზე. მაგალითად ატლანტიდის საზოგადოება ჰამბურლიდან ამერიკაში ერთს კაცზე იღებს გადასაყვანს ფულს ათს გულდენს; უწინდელი ანგარიშით ჩვენს ფულზე ეს იქნებოდა რალა ექვს-შვიდ მანეთამდის; ამაზე სიფხვ აღარ მოხერხდება.

ამ სახით ლარბი მუშა მერობიდან ამერიკაში მიდის შვიდს მანეთად, თუ კი განიზრახავს იქ გადასახლება. მივითუ არა ეს კაცი ამერიკაში, იქ ის მალე მონახავს ადგილობრივ დამსახლებელ საზოგადოების კანტორას, რომელიც მიიღებს გჭარბულის მუშას თავის მფარველობის ქვეშ, რკინის გზაზე ბილეთს აუღებს და, თუ სხვა პირობებში დათანხმდნ, მაშინვე გადაჰყავს უდაბურს ალაგს, საცა ადგილი, მიწა-წყალი ბევრია, სახლ-კარი გამართული, ერთი სახლობის სამყოფი სახანავ-სათესი. საწყალი მუშა მერობიდან გადახვეწილი თავის გაჭრებულ ოჯახით მიდის ამერიკაში, იქ იმას უჩნდება ღვთიური კაცები, შეიყვანენ და დაბინავებენ ქვიტკირის შენობაში, გამართულს სახლ-კარში სულ ყოველფერის თავის მოწყობილობით.

ლაუჯერებელია, მეტყვის მკითხველი; თუ აგრე იყოს ბოელი ქვეყანა იქ გადასახლებოდა. ეს, მთელი ქვეყანაც სახლდება, მაგრამ ისეთები, ვისაც თავის ქვეყანაში გაჭარბის გამო აღარ ედგომება, ვისაც იმდენათ გონება აქვს გახსნილი, რომ გადასახლების საქმე კარგათ ესმის და მოხელობაში აღებ-მიცემობაში, ან მეურნეობაში დახელოვნებულია, ვისაც თავის ტვინისა და მკლა-

ვის იმედი აქვს. რა სარგებლობა აქვთ იმათ, ვინც ამდენს ხარჯს, რომ საწყალი ხალხს ყოველფერი მზათ გაუწყოს, გადიყვანოს ახალ ადგილს, მიწა-წყალი საკმაო მიცეს და სახლ-კარი გამართული?

საქმე იმაშია, რომ ახალ დროის განათლებამ და აღებ-მიცემობამ, როგორც მკროპაში ისე ამერიკაში ძალიან ბევრი ფული დააგროვო, მდიდრებს ველარსად წაუღიათ, ველარსად შე ნახავთ ფული, გაეც ხება იმდენს სარგებლობას აღარ აძლევს. ინგლისში კანონიერი სარგებელი სამ ასულზე მეტად აღარ აღის, ე. ი. ყოველს ას მანეთზე წელიწადში სამს მანეთს მეტა სარგებელს აღარ იძლევიან. მრავალი არიან ისეთი აღებ-მიცემობის კაცები, რომ არც ძალიან მდიდარნი არიან, არც ლარბები. იმათ აქვთ შეკრებილი ფული ორმოცდაათი ათასი, თუ ასი ათასი დოლლარი (დოლლარი—მანეთი და ექვსი შაური). მსენი არ კმაყოფილებიან წელიწადში მანეთზე სამ კაპეკა სარგებელს. იმათ უნდათ მანეთზე ექვსი კაპეკი მინც და ან ორი შაური მოიგონ. აი, ამ გვარი საშუალო მდიდრები ჰკვრენ პირობას ერთმანეთში, ადგენენ საზოგადოებას, რომელსაც ამხანაგობის ფული რამდენიმე მილიონი აქვს შეკრებილი და ამერიკის უდაბურს ალაგებს ყიდულობენ. იმათ ჰყავთ თავიანთი ინჟინრები და არხიტექტორები. იანი იყრიან ერთს მთელს მახრას უდაბურს ადგილისას სახელმწიფოსაგან ძალიან იაფად, ამიტომ რომ იქიდან სახელმწიფოს ბევრი შემოსავალი არა აქვს-რა, და აბა, რა დააკლდება, იაფათაც რომ გაყიდოს.

პირველი საქმე ამ საზოგადოებისა ის არის, რომ ნაყიდს უდაბურს ალაგადის გაიყვანოს რკინის გზა; შემდეგ საზოგადოება გამოაცხადებს, რომ ის ამაღამ დღეს სეირნობას მართავს და ვისაც

ჰსურს შეუძლიან წავიდეს რკინის გზით; ბილეთებიან ნახევარ ფასად, მთლიან ფასად, ზოგი სულ უფასოდ, [ქვეყნის] და შესაფერ, სეირნობის მოსურნე შემდეგბულოა, თუ ლარბი; გარდა ამისა თვითონ საზოგადოებას ეყოლება ვაგონებში მუშაკა და სასეირნო ადგილებდაც მუშაკა და შექცევა იქნება გამართული. ამისთანა გამოცხადების შემდეგ ხალხის ურდო მიდის რკინის გზის კანტორებში ბილეთების ასაღებათ და განემგზავრება დღესასწაულის ასატარებლათ დანიშნულს ალაგს. ამ საზოგადოებას მიჰყავს დიდის ქალაქის მცხოვრებლები თავის ნაყიდ ალაგებზე, რომ ხალხმა გაიციოს საშოსახლო ალაგები. ხალხი ათვალიერებს ახალ ადგილებს, მოსწონს მიწა-წყალი, მდებარეობა, საზოგადოებისაგან წარმოდგენილი დასახლების პირობანი და ჰნახავთ, რომ იქ, სადაც უდაბური, ვერანი, უკაცო ალაგები იყო, სამი-ოთხი წლის განმავლობაში იმართება მშვენიერი ქალაქი და გარემო სოფლები. ახალი მოსახლეები, რომელთაც თავის ღონისა და ჰკუთხის მეტი შეძლება არა ჰქონდარა ესახლება, ხდება სახლ-კარის და ადგილ-მამულის მებატორნი. ი აძლევს ყოველ წლობით საზოგადოებას იმდენს ხარჯს, რომ ამ ხარჯით ოცს, ან ორმოცს, ან ოთხმოცს წელიწადს სულ გამოიყიდოს თავის მიწა-წყალი და ამეზებულო სახლ-კარი.

მთქვამთ, მაგალითად, მუშას თავის ცოლშვილიანა ხვდა ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და ათი დღიური მიწა: სულ ეს საზოგადოებას დაუჯდა ათიათასი დოლლარი. აი, ეს ათიათასი დოლლარი უნდა გადაიხადოს მუშაკაცმა ცოლშვილიანათ ოცდა ხუთს, ან ორმოცს წელიწადს, ისე რომ ამ ხანის ვასულს მამულიც იმის საკუთრება შეიქნეს და იმის მამულს ს ხლკარიანა კაპეკი ვალი აღარ ემართოს.

ითუ მოხერხება აქვს და ხუთს, ათს

რომ მწერლები არ იცნობენ საზოგადოებას და მის ცხოვრებას, რომელსაც თავისებური ფეროვნობა აქვს, თუ მისგან რომ ამ ცხოვრებას არავითარი ფეროვნება და თავისებური ხასიათი არა აქვს? რისგან არის, მაგალითად, რომ „ძვლია ადამიანის“ შემდეგ არც ერთი ქართული რომანი, არც ერთი ქართული დრამა ახლანდელ ცხოვრებიდამ, არც ერთი პატარა მოთხრობა აქამდის არ გამოჩნდა ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში? რისგან? — ქართული ცხოვრება შესწყდა და შეჩერდა, თუ ჩვენი მწერლები აღარ იცნობენ, ან ცნობა არ უნდათ ამ ცხოვრებისა?

შეელა ეს ფიქრები, და ბევრიც სხვა ამგვარი, კაცს გულში უნებურათ ავშლებს უფ. ნ. ლავითიშვილის ნაწერის კითხვის დროს და საუბედუროთ ავტორი ამ ფიქრების პასუხს არ აძლევს.

ზოგიერთ ამ კითხვების პასუხს, თუ გინდათ, სხვა „ივერიის“ სტატიებიდამ ამოიკითხავთ და მეტადრე ამ ორს ნაწერიდამ: „ცხოვრება და კანონ-

ნი“ და „შიწაური მიმოხილვა“. აქედამ დაინახავთ რა მდგომარეობაშია ახლანდელი საზოგადოება და მასასადამე ჩვენი ბედ-კრული მწერლობაც; რა გარემოებანი აბრკოლებენ მის გონებით გახსნას და თვით მოღვწეობას; გამოაშკარავებულია იმ პირობა საქციელი, რომელთაც „ივერია“ სახელად „ტაშკენტელებს“ უწოდებს.

ამ „ტაშკენტელებმა“ ანუ უკეთესთქვათ საქართველოს მასწავლებლებმა ისე შეხედეს ქართველობას როგორც მტერს და მანენ ხალხს, ცდილობდნენ ყოველი მის თვით-მყოფობა და თავისებური ხასიათი და თვისება, ამოეწყვიტათ და გაეჭროთ; მოესპოთ ხალხის სიცოცხლე და მკვდარი, უძრავი გვამი ფენთ მოვბათ რუსეთს, იმ რუსეთს, რომელსაც ჩვენ ჩავაბარეთ ჩვენი ბედი და მივსდევთ კეთილ-დღეობის და განათლების გზაზე.

ჩვენმა „მასწავლებლებმა“ ვერ იცნეს ჩვენი ხალხი და თავის უცოდინარობით მართებლობას თვალი აუხვიეს

და ჩამოაგდეს ჩვენი შორის შური, განხეთქილება და უამართლობა, — თითქოს ეს იყოს კეთილ-დღეობის გზა, ჩაავლეს კლანჭი თვით ხალხის ფესვს — ქართულს ენას და უნდოდათ ყმაწვილის გულიდამ ამოველიჯათ — თითქოს ეს იყოს განათლების სახ არი!

ამ ჭირს დაუქატეთ სხვა უარესი უბედურობაც, — ისა რომ ჩვენცა გვექს ჩვენი ქართველი „ტაშკენტელები“, რომელთაც უარ-ჰყვეს და დაივიწყეს თვითონი ჩამომავლობა, რჯული და ერობა..

საკვირველი არ არის რომ ამისთანა სწეულობა სჭირდეს ხალხსა და კიდევ ჰკოცნლობდენ? მართლაც ძრილი და სამართლიანია ეს ცოცხლობის ურვილი, რომ პირველსავე შემთხვევაში რაკი შეუძლია გამოაჩინოს სიცოცხლე, მაშინვე მიილტვის ბრძოლის ასპარეზზე და იბრძვის თავის ბედის დაცვისათვის...

წელიწადს გადინდის, მისი ნება იქნება; თუ არა და, არც უნდა თავი შეიწყინოს მომეტებული ხარჯით, მაშინ ახალ მოსახლე უდებს საზოგადოებას გველ ვადას ორმოცს, ოცმოც წელს და იხდის წელწელა სახლ-კარს-მამულის ფულს.

ამ გვარი დაწყობილებით ცოლშვილიანი მუშა ყოველ წლიურათ ძალიან ადვილათ აძლევს საზოგადოების გასასტუმრებელს ვალს თავის ადგილ-მამულის და თავის შრომის შემოსავლიდან; თვითონ კი საშვილი შვილათ მეპატრონეთ რჩება. საზოგადოებაც ხომ მოგებულა; რადგან თავის დახარჯულის ფულში ყოველ წლივით იღებს სამი ასეულის (პროცენტის) მაგიერათ ექვს და რვა ასეულს იმას გარდა რომ თავისა დანახარჯი ფულიც თანდა თან შემუდის აქ საზოგადოებას სარგებელშია, რადგან ხელს უწყობს უმიწაწყლო ხალხს და თვითონ უმიწაწყლო და უსახლ-კარო ხალხიც მოსაკუთრე გაუჭირვებელი საცხოვრებლის მეპატრონე ეხდება.

შეიძლება თუ არა ჩვენს ქვეყანაშია ც მოხდეს ამნაირათ უბრალო ხალხის გადასახლება შავიზღვის პირებისაკენ და იმათი კარგა დაბინავება?— შეიძლება და ძალიანაც სასარგებლო იქნება, როგორც ფულიანი კაცებისათვის, ისე ხალხისთვის მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

ბ. წერეთელი.

დღიური

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ ქალაქში იმყოფება ამ ჟამად უფ. მერესჩაგინი, რომელიც, ამბობენ, გამოგზავნილია მოსკოვის ერთის საზოგადოებისაკენ, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ შესდგა იქ შავი ზღვის ნაპირებზე ადგილების შესაძენად და რუსეთიდან ხალხის გადმოსასახლებლად.

ის შესამედ არის, რაც უფ. მერესჩაგინი ამ მიზნით მოდის ჩვენს ქვეყანაში. და ყოველთვის იმ რწუხებით ბრუნდება, რომ შუაგულ რუსეთიდან ხალხის გადმოსახლება შეიძლება შავი ზღვის ნაპირებზედ, ვინც იქ მიწებს შეიძენს, გიკეთდება.

მაგრამ მაგალითები და გამოცდილება ეწინააღმდეგებიან უფ. მერესჩაგინს: რამდენჯერ იყვნენ იქ დასახლებული თუ რუსები, თუ ბოლგარელები, თუ ჩეჩენები და თუ ბერძენები, მაგრამ ვერცერთმა ვერ გაძლო, მომეტებული ნაწილი დაიხოცა და დანარჩენი კი უკანვე დაბრუნდნენ. მართის სიტყვით ჩვენი ბუნება არ ითვისებს უცხო ქვეყნის ხალხს...

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ უფ. მაიორს იოსელიანს ქართულის სცენის სასარგებლოდ შეუწირავს ორი-ათასი მანეთი.

მა, მგონია, პირველი მაგალითია, რომ ქართველ კაცს აძლენი შეეწიროს რომელიმე საზოგადო საქმისათვის.

* * სია საგნებისა, რომელიც უნდა განიხილოს ქალაქის რჩევამ დღეს, 15 თებერვალს, საღამოს 7 1/2 საათის სხდომაზე:

სანიტარული კომისიის მოხსენება.

ბამგეობის მოხსენება ქლასიკურ მინაზიის ეზოს თაობაზე.

სასულიერო ეპარხისაკენ, სასაფლაოების გადტანის შესახებ, მიღებულს ქალაქის მთავრობის განცხადება.

მოხსენება ხმოვანის ს. ბ. ზარაფოვისა იმაზე, რომ ქალაქის მთესა და ბამგეობის წვერებს არ ექნეს უფლება სხვა რაიმე საზოგადო თანამდებობა იკისროს.

მოხსენება ხმოვანის მ. პ. ბებუთოვისა სიძვირებზე.

ქალაქის ბამგეობის მოხსენება მიხაილოვის მოსესსა და ხიდის რემონტზე გასუფთავებაზე და მოწვევაზე და სხვ.

„დროების“ კორექსორდენცია

ახმათილამ თიანეთამდი, 10 იანვარს.

ახმათა ძახეთშია, თქლავიდ მ დასაფლეთისაკენ ოც-და-მეხუთე ვერსზედ მდებარეობს ერთ გაშლილ ადგილზედ. ის, როგორც ერთი ფესო ჩვენი მშვენიერი საქართველოსა, მეტად ლამაზი და ლაზათიანი სოფელია არა მარტო გარეგანი, — შინაგანი შეხედულობითაც! ხეებისა და ხეჩილების სიუხვე, ბაღებისა და ვენახების სიმრავლე საუცხოვო და სამო სურათს წარმოუდგენს ადამიანის თვალს! თუმცა ახლა ზამთარია, ბუნება ფერ-შეშლილი და დაჩაგრულია, მაგრამ იმას მაინც არ დაუკარგავს თვისი სიმშვენიერე.

შუა სოფელზედ მიდის ფოჩტის გზა, მოკენჭილი, სუფთა, რომლის მსგავსი ბევრ ქალაქებსაც ენატრებათ, პატარა ბაზარი, საიდამაც, ასე გასინჯეთ, დერეკებიც კი ხელის ქვევით გამოიციკირებიან, ხშირი სუფთა და კობხა შენობები, „რქაწითელათი“ (ვენახია) გარეშემორტყმულნი, მშვენიერი წყაროები და პატარა მდინარეები; მარცხნივ, ცოტა მოშორებით, ალაზანი.

მცხოვრებლები — პატოხანი, შრომის მოყვარე ქართველები, ყველა წოდებისა; ხალხი გულ-და, მხიარული. სხვა რა უნდა საჩაოს!.. დიდი სოფელია: სამი ეკლესიაა თავ-თავისი მღვდლებით. მართი სიტყვით, ყველაფრით კარგია; ყველაფერი კარგია! მაგრამ საბრალოსია ერთის მხრით: აქ არ არის შკოლა!

შუადღე იქნებოდა, როცა მე და ორმა თუშა ცხენებზედ მსხდომარებმა, ჩავიარეთ ბაზარზედ. თოვლი სრულის თავის სიუხვეთ დაუხარებლად მოდიოდა მაღლიდგან და გაბნეულ ბამბასავით ეგებოდა დედამიწაზედ; მაგრამ ამათ ცდილობდა წვიმისაკენ სველზედ ფეხი მოეკიდნა და იმისთვის თვისი ფერი დაედო. ჩვენ ცხენებითურთ განსაკუთრებულნი ვიყავით.

მიკიტნებმა შეგვასწრეს თვალი. მართი მარდათ გამოხტა დუქნიდგან და დაგვიწყო ცქერა ხან ჩვენ, ხან დუქანს, თითქო უვირდა, რომ ამ დროს გზას ვადექით; მეორემ დუქანში აივსო სტაქანი „პილატეს ცრემლით“, გადაუშუნა და თან დააყოლა: „შუხს! შენი მამგონის

ქირიმე, შენი! ტალკვესი ხარ რაღა ამ დროს! მკ, როგორა თუ შენს სწავლამა მგზავრმა ვინა თუ შენს შემოგვხედა ჩვენ, თითქო ვეცოდებოდით და უნდა ეთქვა: სად მიდისხართ, საქვე არა გაქვსთ?! აქ შემოდითო!

— რა კარგი ცხენია ის შუა ცხენი-მაგრამ ფეხ-შიშველობის გამო ვერ მი, დის საწყალი! ბამოიძახა ნალბანდმა.

— მიცი, რის გულის წვეცა გაქვსთ ერთსაც და მეორესაც! წაილაპარაკა თავისთვის თუშა და მოვშორდით დუქნება.

ამ სოფლის ერთი მღვდელი ამგზავრებულყო იქ, საიდამაც ვეღარ მოდიან.


— რამდენი დიაკვნები მოფხევენ ამ თოვლიან ზამთარში ქალაქის გზას! დიწყო ჩემმა მგზავრმა: ჯერ საბრალო არც კი გაციებულა და რამდენი არაა ეწყობა არქიელის ტოლზედ! იმისი უბედური ცოლ-შვილი ერთ ვაებაში იქნებიან და რამდენს კი იმისი სიკვდილი გაახარებდა! მი ჩვენი ბრალო! შოელია ქვეყანაო, რომ იტყვიან, სწორეთ ნამდვილი თქმა! რამდენიც უბედური და გაჭირვებულია, იმდენი ბედნიერი და გახარებულია! მის ჩალათ უჩანს ეს თოვლი და ცუდი ამინდები, სხედან თილოთახებში და ქეიფიანად შეექცივიან! ჩვენ კი, თქვენი რა მოგახსენოთ და მე კი გაჭირვებას სად მივეყვარ ამ მეორეთ-მოსვლის დროს!

— მართალს ამბობ, ძმობამ, მაგრამ ჩვენ კიდე რა გვიშვს, — საცოდავი ოთხფეხი პირუტყვები მიგვართვევენ, — დახე იმ საბრალოებს, აგერ ჩვენ წინ რომ ფეხით მიბობლავენ! აბა გაჭირვება იმათკენ მოვიკითხოთ! დაუმატე მე და შეწვახედე რამოდენიმე გლეხებზედ, რომელნიც ამოლართხულნი მოურიღებლად ზელაძენენ მუხლზე ლაფებს.

— ჰოო! მაძიგო მესაუბრემ და ერთი მწარეთ ამოიხხრა.

— მართი მგზავრები ვართ და არ ვიცოდეთ ერთმანერთის გარემოება, ვის რა სასტუკმა გაჭირვებამ გვაიძულა მგზავრობა ამისთანა „მეორეთ-მოსვლის“ დროს? მკითხე მე ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მისთვის უფრო, რომ გვეთქვა რაიმე და გზა შეუნიშნავად შეგვემოკლებინა.

— რატომ, დიან უნდა ვიცოდეთ! მოგახსენოთ ჩემი ამბავი: მე ერთ სომეხთან მივდივარ, ადვოკატი კაცია, ერთი საქმე უნდა მივანდო. ამ 15 წლის წინათ გავყვარე ჩემს ბიძაშვილს. მეღიატორებმა და სოფლის სუდიებმა გაგვიყვეს ყველაფერი, რაც გვებადა და მე, სხვათა შორის, მარჯუნეს ორ თვლიანი წისქვილის ცალი თვალი. მორიგენი თანხმანი ვიყავით მაშინ. 12 წელიწადი მეტი ვსარგებლობდი ჩემი წლით, რომ კაცს ხმა არ გაუცია. მაგრამ შარშან წინ მიითვისა ჩემმა ბიძაშვილმა ჩემი ნაწილი წისქვილი და დაიწყო სარგებლობა მძლავრობით. მე ვიჩიელე სასოფლო სასამართლოში, სადაც განიხილეს ჩვენი საქმე და რადგანაც თოთხმეტზე მეტი მოწამე ერთხმად ამტკიცებდა ჩემს სიმართლეს და იმის მხრით



ერთი კაცი არ იყო, რომ იმის სასარგებლო სიტყვა ეთქვა, სულებმა შეადგინეს განჩენი, რომლის ძალითაც მე უფლება მეძლეოდა მესარგებლნა ორივე თვალთ იმდენ ხანს, რამდენსაც ჩემი მოწინააღმდეგე მძლავრობით სარგებლობდა და შემდეგ საბოლოოთ ცალი თვალი ჩემი ჰყოფილიყო. მაგრამ ის არც ამჯერდ დათანხმდა. განჩენი წარუდგინა ნაჩაღნიკს; იმან ზედვე მოსწერა მამასახლისის, რომ აღსრულებაში მოეყვანა და უკმაყოფილო მხარე „ღრუბენატართან“ ეჩივლა. მამასახლისმა გამოუცხადა ყოველივე ესე, მაგრამ დღესაც იმის ხელშია წისქვილი და მე ამდენი მისეულა-მოსეულა, ხარჯი და გაჭირება მადგია ტყუილ-უბრალოთ-ღმერთმა გასცეს პასუხი ჩემ მაგიერად! ეს მეგონი მეთათე მივდივარ ამ საქმეზე. ახლა ის სომეხი შემპირდა ამ საქმის მოგებას და მისთვის მივდივარ. პირობის ქალაღიცი მიმაქვს სულებიდან შემოწმებული რომ არ გაუმტყუნდე, თუ მოიგო.

— რას აძლევ საქმის გაკეთებისათვის?
 — რას ვაძლევ! ნეტავ კი წაართოს და სუ იმისი იყვეს, ჯავრი კი ნუ ჩამყვება იმისი და თუნდა სულ დაძეკარგოს, არ ვინადვლი. ნახევარ წისქვილს შენობითა და შემოსავლით ვაძლევ სამუდამოთ და რასაც აიღებს ჩემს ზარალს იმისგან, სულ იმისი იქნება. სამი წელიწადი არა მინახავს-რა სარგებლობა და სამასი კოდის ფასი მაინც არ ერგება! ამ თავით კიდე სამი თუმანი უნდა მივსცე, რომ საქმე დაიწყოს და აწარმოვოს! ოც-და-ათი თუმანი უტრაფია, თუ გაუმტყუნდი და არ მივეცი, რაც შეპირება მაქვს!

— თუ ის გაგიმტყუნდა და ვერ მოიგო?
 — მაშინ რა იქნება! თუ არა ეშველებდა-რა და კანონი ჩემთვის დაკარგავს თავის ძალას, მეც ხელი უნდა ავიღო;

რა ჩემი ბრალი იქნებოდა, მეუბნება. ამდენ ხარჯთან იმ სამ თუმანსაც ჯანი გაეარდეს!
 როგორ მოგწონთ ამ გვარი მოქმედება ჩვენი მეწერიძალე „ატუნკანტები-სა!“ თუ მოიგო, ხო კარგ ღონიერ ლუქმას გამოიგდებს, მაგრათა ჰყავს უბოქლო მსხვერბლი,—თუ არა და ჰაი დარდი! სამი წითელი ქალაღი ხო დარჩება ტყუილ-უბრალოთ!...
 (დასასრულა შემდეგ №-ში)

განცხადებანი

ჰუთაისუი კ. მესხის წიგნის გალავნიანი ისუიღება შემდეგი წიგნები:

- 1) სიტყვანი და მოკლვარბანი — თქმულნი იძერეთის ევისკოპოსის ზაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.
- 2) იგივე, უკეთესს ქალაღზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.
- 3) რუსული ენის დასაწყისი კურსი პრაქტიკული (Практический начальный курс рус. языка для грузин) — შედგენილი ბ. კ. — შეილის მიერ. ფასი — 60 კაპ. მინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ვგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპიკად.
- 4) დედა ენა — ი. ბოგებაშვილისაგან, 30 კ.
- 5) სიბრძნე სიტყვის წიგნი. ფასი — — — — 50 კაპ.
- 6) გუნების კარი — ი. ბოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.
- 7) პატარა ბიბლიოთეკა — იმისივე — — — — 10 —
- 8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — — 20 —
- 9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ქრისტისა — — — — 15 —

- 10) თამარ ბატონიშვილი — დრამა 5 მოქმ. — — — — 20 —
- 11) არანაპ, პოემა — — — — 20 —
- 12) საგზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — 50 —
- 13) ჟარამანიანი — პირველი ექვსი წიგნი — — — — 30 კ. და 40 კაპ.
- 14) რძალი მული და მაშინიკაბი — კომ. თუთაივისა — — — — 30 —
- 15) მართული კალენდარი 15 —
- 16) სახარება — — — — 25 —
- 17) „ბუთიაობა“ ვოდევილი აკაკისა — — — — 20 —
- 18) „ვაი ჰუთისაგან“ კომედია გრიბოდვისა, ნათარგმნი ბ. წინამძღვროვისაგან — — — — 40 —
- 19) სოლომონ ისაიჩი მუჯღანუაშვილი — — — — 30 —
- 20) მგოსანი — ღამსამი — 20 —
- 21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე ისეიღება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქალაღი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.
 სასოფლო შრომებს ყოველგვარი წიგნები მიცემა ნაკლებ ფასათ. მალაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, ალუბის ქვეშ.

გამოვიდა და ისუიღება

„ბუთიაობა“

ვოდევილი
 აკაკი წერეთლისა

ისუიღება: ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მალაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის ზაზეთის სააგენტოში — ბუთიარზე.
 მთუთაისში — უფ. ძ. მესხის წიგნის მალაზიაში.
 ფასი — ერთი აბაზი.
 (5—3)

რძ. გზა.	დღო.	ს.ღაძ.	II კ.	III კ.	ბელვარაზი	მან კაპ.	გაზანდა	მან კაპ.	თფილისის საგაჰრნალო.
თფილისი	9 21	5 18	მ.კაპ.	მ.კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიღამ:		თფილისი, 14 თებერვ.		მრენს მადანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ძავესიის მქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	160	ავთმყოფებს მიიღენ ყოველს დღე დღის 9 საათიღამ 1-მდინ.
ზორი	11 58	9 43	240	133	როსტოვს, მდესახ, მოსკოვს	2	მერი ფუთი	120	მ. რ. შაბათს: მერმიშვილი და ბა- რ. ლევიჩი — შინაგ. ავათ., მიუნა- რიანც — საჯარო ექიმი და საშვი- ლღს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	392	218	პეტერბურს, მარშავსა.	2	ზამბა მრევეისა, ფუთი	740	სამშაბათს: მერმიშვილი — ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.
სურამი	1 44		442	246	მსხმალეთში, შევიც. რაში.	3	ამერიკიას, ფუთი	860	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი ში- ნაგანი.
შვირილა	5 49		581	323	იტალაში და ს. ფრანგეთში.	3	ბაპენტლი ბ. შაბა ფუთი.	960	საგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.
რიონი	6 5		675	375	ინგლისში	3	მატყლი თუშური ფუთი.	670	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
სამტრედია	7 51		773	429	ზოგად		თარაქამისა ფუთი	450	საგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.
ახალ-სენაკი	8 43		857	476	ა) თფილისიღამ: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუხეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ. — პარასკ. და ორშ. ძა- ხეთს — სამშ. და შაბ. ბ) მუთაი- სიღამ: თფილისისა და შოთის კენ- ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ- გეთს — ორშ. და პარასკ.	210	აბრეშუმი ნუხური სტ. მონი, ფუთი	540	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
შოთი	9 50		975	542	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		აბრეშუმი ნუხური სტ. მონი, ფუთი	540	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
შოთი	9	3			ლია წიგნის	4	აბრეშუმი ნუხური სტ. მონი, ფუთი	750	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
ახალ-სენაკი	10	14	118	6	დ. ბ. კლიდის (ხში მისხალი)	8	აბრეშუმი ნუხური სტ. მონი, ფუთი	1265	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
სამტრედია	11	5	26	14			აბრეშუმი ნუხური სტ. მონი, ფუთი	1265	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
რიონი	12	13	3	169			სტეფანისის სანთელი, ფთ.	1265	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
შვირილა	1	18	39	221			ხორცი ძროხისა, ლიტ.	18	საგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.
სურამი	5	12	110	533			ცხვრისა, ლიტრა	18	საგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.
ხაშური	5	39	137	584			სპირტი ვედრო	460	საგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.
ზორი	7	5	487	364			შაქარი, ბროც. ფუთი	740	საგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.
მცხეთა	8	50	659	985			ფუნელი ფუთი	540	საგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.
თფილისი	9	31	756	975			ქავა გრგვლი, გირვ.	70	საგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.
							თეთი ქუნჯუთისა ფუთი	1240	საგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.
							თამბაქო, საშუალო ფთ.	670	საგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პეტუნოვ — თვალის.